საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 1732/01
23/02/2022

1732-01-2-202202231052

შპს „დანის“

მის: ქ. თბილისი, სადგური ლილო, კოტეჯი №2

ელ.ფოსტა: rusudan.natobaidze@gmail.com

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 28 იანვრის №1219 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სადგური ლილოს პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ნარჩენების გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენის) საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი ინფორმაცია:

- სკრინინგის განცხადებაში საწარმოო დანადგარების საპასპორტო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნეს სახელმწიფო ენაზე;
- წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საპროექტო საწარმოდან უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე მანძილი შეადგენს 131.25 მეტრს, თუმცა, მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ საპროექტო საწარმოს საკადასტრო საზღვრიდან, ისევე როგორც მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 85 მეტრით. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;
- წარმოდგენილ დოკუმენტაციაში დაზუსტებას საჭიროებს საწარმოში დასამუშავებლად მისაღები ნარჩენების კოდები. ვინაიდან, სკრინინგის განცხადების თანახმად, კომპანიის მიერ იგეგმება პლასტმასის შესაფუთი მასალის და პლასტმასის ტარის ნარჩენების აღდგენა, აღნიშნული შესაძლებელია მხოლოდ 15 01 02 – „პლასტმასის შესაფუთი მასალა“ და 20 01 39 – „პლასტმასი“ ნარჩენის კოდებში გაერთიანდეს. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ პროექტში მითეთებული ნარჩენების სხვა კოდების გამოყენება მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია, (07 02 13; 16 01 19; 17 02 03;) ვინაიდან, წარმოშობის წყაროების მიხედვით შესაძლებელია ისინი დაბინძურებული იყოს სხვადასხვა სახიფათო კომპონენტებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს

მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე